აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 11

14 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, თამაზ შარმანაშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე და ირაკლი გვარამია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 8 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე).

2. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი).

3. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი).

4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

(მომხ. თ. შარმანაშვილი).

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 8 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის უსკო-ს მიერ 2008 წლის 8 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებული იქნა საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული დადგენილებით №82 შუახევის საარჩევნო ოლქს დაუმტკიცდა 48 საარჩევნო უბნისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ოლქის მიერ ნაცვლად 48-სა არის 49 უბანი შექმნილი, საჭიროა ხსენებული დადგენილების დანართის მე-4 გრაფაში შეტანილი იქნას ცვლილება და მოხდეს დამატებით ერთი უბნისათვის (260 ლარი) საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დამტკიცება. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში არის უზუსტობა იმ თვალსაზრისით, რომ დამატებით ერთი უბნისათვის

გამოყოფილი თანხის (260 ლარი) დამტკიცების შემთხვევაში იცვლება ოლქისათვის დამტკიცებული ხარჯების საერთო ჯამი, რისთვისაც საჭიროა ცვლილება შევიდეს არა დანართის მე-4 გრაფაში, არამედ მოხდეს ხსენებული უზუსტობის გასწორება და ცვლილება შევიდეს უსკო-ს მიერ 2008 წლის 8 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის დანართში და იგი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით ე. ი. მთლიანად მოხდეს მისი დამტკიცება. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესისა და ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №7 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები			უბნის ხარჯები	უბნების რაოდენობა	**სულ ოლქი**	ოლქის დამხმარე პერსონალის ხელფასები 2008 წ.			**სულ ჯამი**
			გადაზიდვის ხარჯები	სხვა ხარჯი	**სულ**				პერსონალის რაოდენობა	ხელფასის ოდენობა	**სულ 2 თვე და 20 დღე**	
1	79	ბათუმი	1700	1430	**3130**	260	74	**22370**	8	400	**8534**	**30904**
2	80	ქედა	1700	1430	**3130**	260	31	**11190**	5	400	**5334**	**16524**
3	81	ქობულეთი	1700	1430	**3130**	260	62	**19250**	8	400	**8534**	**27784**
4	82	შუახევი	1700	1430	**3130**	260	49	**15870**	5	400	**5334**	**21204**
5	83	ხელვაჩაური	1700	1430	**3130**	260	66	**20290**	8	400	**8534**	**28824**
6	84	ხულო	1700	1430	**3130**	260	51	**16390**	5	400	**5334**	**21724**
7	**სულ**						**333**	**105360**	**39**		**41604**	**146964**

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

2. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად უსკო-ს 7 წევრს ნიშნავს პოლიტიკური გაერთიანებები რომლებიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქრთველოს ორგანული კანონის შესაბამისად, იღებენ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობისა და ცესკო-ს მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე უსკო-ს წევრი სხვა პოლიტიკური გაერთიანებებთან ერთად უნდა დაენიშნა „საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას“ რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად თუ პარტიების მიერ დანიშნული წევრების რაოდენობა 7-ზე ნაკლები

აღმოჩნდა, იგი 7-მდე შეივსება არჩევნებში მათი მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე იმ პარტიებზე, რომლებიც დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ არჩევნებში ან გაერთიანებული იყვნენ ბლოკში და ბლოკის წევრთა ჩამონათვალში სხვებზე წინ იყვნენ, ასევე თუ პირველად დასახელებულმა პარტიამ კომისიის წევრის დანიშვნაზე უარი განაცხადა ეს უფლება მეორეზე გადადის და ა.შ, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ მიღებული უნდა ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეთა ხმების 3%-ზე მეტი. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საარჩევნო კანონმდებლობით არ არის გაწერილ თუ რა ვადაში უნდა დანიშნოს საუკეთესო შედეგის მქონე მომდევნო პარტიამ უსკო-ს წევრი, ამიტომ აუცილებელია უსკო-ს მიერ მიღებული იქნას დადგენილება, რის საფუძველზეც განისაზღვრება ვადა (7 დღე) უფლებამოსილი პარტიის მიერ უსკო-ს წევრის დანიშვნაზე. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 28^1 და 31^1 მუხლის 1^1 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. თუ უფლებამოსილმა პარტიამ (პარტიებმა) არ დანიშნეს უსკო-ს წევრი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31^1 მუხლის 1^1 პუნქტით დადგენილ ვადაში, უსკო-ს წევრის დანიშვნის უფლება ენიჭება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31^1 მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ პარტიას. უფლებამოსილმა

პარტიამ უსკო-ს წევრი უნდა დანიშნოს ასეთი უფლების წარმოშობიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა.

მუხლი 2 ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3 ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა პარტიის ბლოკის წარმომადგენელის მოწმობის ფორმა საუბნო საარჩევნო კომისიაში, პარტიული სიის ფორმა, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმები. ისაუბრა წარმოდგენილი ფორმების შესახებ მათ გამოყენების წესებზე და პირობებზე. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პარტიის ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა საუბნო საარჩევნო კომისიაში (ფორმა 6-07.20.02);

ბ) პარტიული სია (ფორმა №4-07.21.02);

გ) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათი (ფორმა №4-07.22.02);

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობა (ფორმა №6-07.23.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანომდებლობის შესაბამიად, უსკ-ო განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მან კომისიას წარუდგინა სპეციალური კონვერტი (ბიულეტინისათვის) 13X18 სმ და A-4 და A-3 ფორმატის საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთი კონვერტის ფორმები და აღნიშნა, რომ მოცემულ კონვერტებზე უნდა დამტკიცდეს უსკო-ს ლოგო, რომლებიც გამოიყენება 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის პირველ შემთხვევაში ბიულეტენის მოთავსებისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთად. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა ირაკლი გვარამიამ. მან აღნიშნა, რომ უმჯობესია სპეციალური კონვერტი, რომელიც განკუთვნილია ბიულეტინისათვის მიღებული/დამტკიცებული იქნას შედარებით უფრო დახურული ფორმით.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი

მიღებულია გაკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) სპეციალური კონვერტი (ბიულეტენისათვის) 13X18 სმ. 90-100 გრ.

ბ) A-4 და A-3 ფორმატის საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთი კონვერტის ფორმები.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია